

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი
სამედიცინო საქმიანობის სფეროში

ანი ფრუიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გლაზოვი, სამართლის მაგისტრი
(დოქტორანტი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი ფრუიძე

01.07.2019 წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს - სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს სამედიცინო საქმიანობის სფეროში. წინამდებარე კვლევა მნიშვნელოვანია, რადგანაც მასში განხორციელდა სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ნორმის დეტალური ანალიზი, გამოიკვეთა სხვა ნორმატიულ აქტებში მოცემული დეფინიციების, ცნებების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

კვლევის ფარგლებში დელიქტური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაანალიზებისას იკვეთება როგორც სამართლებრივ ცნებათა აღრევის, ისე ნორმის განმარტების იურიდიული მეთოდის უგულებელყოფის ტენდენცია, რაც ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას უშლის ხელს. სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხზე მსჯელობისას და ახალი რეგულაციების შემუშავებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების პროგნოზირება და სამედიცინო დარგის სპეციალისტების აზრის გათვალისწინება.

წინამდებარე ნაშრომის აქტუალურ საკითხებს წარმოადგენს პაციენტის უფლებების, პირადი ცხოვრებისა და სამედიცინო საიდუმლოების დაცვა, პრიფესიული შეცდომისა და მცდარი სამედიცინო ქმედების განმარტება, სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა.

ნაშრომი მიზნად ისახავს სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული, სამართლებრივი პრობლემების წარმოჩენას სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის მიზნით შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების, სამეცნიერო ნაშრომების და სასამართლო პრაქტიკის კვლევას, მიღებული შედეგების გაანალიზებას და არსებული პრობლემების აღმოფხვრის ეფექტური გზების ძიებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დელიქტური ზიანი, ჯამრთელობისთვის მიყენებული ზიანი, პროფესიული შეცდომა, მცდარი სამედიცინო ქმედება, პაციენტის ცნება, სამედიცინო დაწესებულება.

Abstract

This thesis deals with one of the most important and topical issues – the peculiarities of civil legal responsibility in the field of medical activity.

The present study is important because it has detailed analysis of the norm in Article 1007 of the Criminal Code of Georgia and measures to be taken in order to ensure the unity of the definitions and these definitions contained in other normative acts. While analyzing the court decision on compensation for delicate damages, the tendency to ignore the legal concepts of legal opinions and definition of norm is prevented from forming uniform judicial practices.

When discussing the issue of damages caused by the medical institution and developing new regulations are important to take into account the expect economic results and to consider opinion of the medical sector specialists.

The relevant issues of the present paper are the protection of patient's rights, personal life and medical secrets, the definition of the wrongful mistake and the wrong medical actions, and the legal basis for reimbursement of damage to the patient by the medical institution.

The work is aimed at the under-provided for in article 1007, law problems, existing in the institution's compensation in connection with the amendments to the law in order to improve the relevant international documents, scientific papers and case law research, analysis of results and the problems find effective ways to eliminate.

Keywords of searching: delicate damage, damage to health, professional error, wrong medical action, concept of patient, medical institut